ოქმი:**ო12.37221451**
თარიღი:**25/05/2022**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 24 მაისი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, ნ. სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, დ. მდინარაძე, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, გ. სირაძე, ხ. ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.
   მომხსენებელი: ქ. ხომერიკი
   თანამომხსენებელი: გ. მამაკაიშვილი
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ.
   მომხსენებელი: ქ. ხომერიკი
   თანამომხსენებელი: გ. მამაკაიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ მიმოიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში, ხოლო კონკრეტული მუხლების მიხედვით, ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მამაკაიშვილმა, აღინიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების დინამიკა შემოსავლების ნაწილში დადებითია, წლის ფისკალური გეგმის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება, ხარვეზია მხოლოდ ქონების გადასახადის შესრულების საკითხში. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა, განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებს ასევე ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა გ. მამაკაიშვილმა, განაცხადა, რომ სარეზერვო

ფონდიდან თანხების განკარგვა ხდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, სულ გახარჯულია 33 ათასი ლარი, შემდეგ კონკრეტულად დაასახელა თანხების განკარგვის მიმართულებები- განათლების ხელშეწყობის, სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების და სხვა. კომისიის წევრებმა ეს ანგარიშიც მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის პირველი კვარტლის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი